განკარგულება:**g-81.81221245**
თარიღი:**04/05/2022**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N28

მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების (კომპლექსური სპორტული სკოლა, საფეხბურთო კლუბი და ფრენბურთის კლუბი) გაწეული საქმიანობის და მომავალი მიმართულებების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,გ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ინფორმაცია ცაგერის მუნიციპალიტის სპორტის დაწესებულებების (კომპლექსური სპორტული სკოლა, საფეხბურთო კლუბი და ფრენბურთის კლუბი), გაწეული საქმიანობისა და მომავალი მიმართულებების შესახებ მიღებული იქნას ცნობად. /დანართი თან ერთვის/

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიამ (მერი გიორგი ნემსაძე, მერის მოადგილე რევაზ ახვლედიანი) მომავალში მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის შესაბამისი ა(ა)იპების მუშაობა წარმართოს საქმიანობაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის და მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. ამ კუთხით - აუცილებელია ახლო მომავალში დადებითად გადაწყდეს ცაგერის სტადიონის სრული რეაბილიტაციის, გელა ხვადაგიანის სპორტული დარბაზის მიმდინარე სარემონტო სამუშაოების შესრულება. სპორტული აიპების ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში არსებული პრობლემების გამო მთავარი აქცენტები გაკეთდეს პრიორიტეტული ღონისძიებების დაფინანსების კუთხით.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებებლია ხელმოწერის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარმოდგენის მიზნით ცაგერის რაიონულ სასამართლოში. (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ.№69)

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი